

სკლის-მწერა:

ტფილისის, «ივერიის» რედაქციაში  
მთავრების ქუჩაზე, შიოშვილის სახლების 9-  
ში, სახლი № 5.

ქუთაისის, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლი-  
ოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს  
ენებზე.



«ივერიის» ფასი

ერთი წლისა, გაგზავნილ ჟურნალს 7 მ. —  
საბეჭადის წლისა . . . . . 3მ.50კ.  
თითო ნომერი . . . . . 15კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწო-  
რებს და შეამოწმებს დასაბეჭადის ნაშრომს  
წერილებს.



ს ა ჰ ო ლ ი ც ი კ ო და ს ა ლ ი ც ე რ ა ტ უ რ ო  
გამოდის ხუთშაბათობით

სადმივბმლი: I. საქართველოს მატინანე. («ივერიის» კორ-  
რესპონდენტები). თელავი, არჯაქანიძე. — II. საზოგადო-  
ებო მამოხილვა. — III. შრომინციალური მეთავეუერის ჩივი-  
ლი და შენიშვნები. — IV. მოკლე შენიშვნები სამზღვარ გ-  
რეთიდავ. — V. რამეთუ კაცი ვარ. — VI. წყრილი რედაქ-  
ტორთ.ნ.

საქართველოს მატინანე

თელავი: თელავის გამოცემა. ნადიგარი და მისის სტუდენტ-  
ების ბასი. ჭორები თელავში. შესანიშნავი მეტო-  
რები. ილიუშინაძის თელავში. თელავის სასტუმრო.  
გაყვითის შენიშვნა. სომხების არსებობა თელ-  
ავში. ლავროები.

თელავს ამ საფუძვლით სიცოცხლე მოემატა რა-  
გორდავ. ამ მოკლენის მიზეზი თვით თელაველები ნუ  
გვგონებთ მკითხველო, — არა, — ამის მიზეზი თელავის  
სტუმრები არიან, რომელნიც საზაფხულად არიან მო-  
სულნი თბილისიდან, თუ სხვა ადგილებიდან. ამას თქმა  
აღარ უნდა, რომ თელავის სტუმრები „უბრ:ლოთაგანნი“  
არ იქნებიან. სხვათა შორის თელავში მოვიდა მადამ  
დისენკოს პანსიონი. ჭო, თელავს სიცოცხლე მოემატა,  
მეთქი. ახლა რასში მდგომარეობს ეს სიცოცხლე. ნუ  
გვგონებთ, რომ აქ ან წარმოდგენები და ან საკეთილო  
საქმეზედ ურჩილება და ბასი იმართებოდეს, — აქ სხვა ნაი-  
რი სიცოცხლე განლაგდა. აქ თუ სადამოს ხანსზედ 20—30  
ქალი და კაცი ვნახეთ „უბრ:ლოთაგანნი“ მოსიერნი — დიდი  
სიცოცხლეა თელავში. მაგრამ ამ ცოცხლს ხანში უფრო  
მშვენიერს ნადიგარზედ დასეირნობენ, რადგანაც იქ უო-  
ველს სადამოს მშვენიერი „ცივის“ ნიაკი ჭსტემს. რასუ-  
რათი წარმოდგენა ნადიგარიდან — „ივერიის“ მკითხველმა  
კვლავ იცის, თუ დაიწყოდა წიკითხოს შირველი ხანა  
ლაქისისა რედაქცია“.... მერე ნადიგარზედ სასწდომი სკა-

მეზიდ გამართეს. სკამები რომ არ გაუმართოთ კი, შენი  
მტერი რომ აქაუნი „ნაზი“ ქმნილებანი დაიღუპებოდნენ!  
ბატონო, ერთი უბედურება იყო მინამ სკამებს გამარ-  
თავდნენ. დაიქნებოდნენ ხოლმე ჩვენი ქალები და რომ  
შეგესდნათ სადამოხობით, ზოგი სად ეკუნტა, ზოგი  
სად; ასე რომ სშირს ბინდში უცხო კაცს მიჯნები ეკო-  
ნებოდა.... მერე, თურმე მკეტის-მკეტის ცხარის ლაპარა-  
კით გართობილნი ისე დაიქნებოდნენ ხოლმე, — რა-  
გორც შესნივლებენ ხოლმე „გავალებს“ — რომ დამე  
ვასშიის მადა აღარა ჭქონდათ. რასაკვირველია, სეირნობის  
დროს დიდს ბასში არიან თუ „დამები“ დადიან და თუ  
რედაქტორებიცა“ ჭყავთ. გავალებიანი დამები რას ლაპარა-  
კობენ მე არ ვიცი, რადგანაც გავალებობა არ გამომიადია,  
ის კი ვიცი, რომ სეირიანს არაფერს ლაპარაკობენ: ვაი  
იმ გავალებს ვინც ერთ ორს დამას ჩაუვარდება ხელში.  
საწულები სულ თავბუდს იწუვებენ.... საწულები ყველა  
სუსტის ჭკუიდან გამოსულს ჭზრზედ უნდა დაუბუდ-  
ნენ.... თუ მართა დამები დადიან, — შენი მტერი, რომ  
ისინი მოჭსთხრინ მთელს ქვეყნას, ე. ი., ვისაც თელავში  
ამოიღებენ. ისეთს ჭორებს მოჭყებინ, რომ ადამიანი  
განცვიფრებულია ამითი ფანტაზიით! „უარამიანის“  
ავტორი ფანტაზიით რამდენიმე ასის ნაბიჯით არის  
აქაურს ზოგიერთს მანდილასებზედ ჩამორჩობილი.  
ერთის გორქლის კორრესპონდენტისა არ იყოს („ივერიის“  
მე-ნ №-რი, 1878 წ.), ნათესავს ქალსა და ვაჟსა ვერ  
გაუვლიათ ერთად, მ:შინვე ეს ჩვენი მემატინანე — მეტო-  
რები შეადგენენ მთელს მოთხრობას, თუ აი ამა და ამ  
ვაჟს ესა და ეს ქალი წაუუგნის იქა და.... ამა და ამს  
ქალი „ზადრუჩიით“ დასდევდა ამა და ამ ახალგაზდა  
ვაჟსა; ქა! გავგონილა ამისთანა ამბები? უი თვალები კი  
დაუდგეს იმითანა ქალებს! გარჯე რეგორდა გ.მ.

დინა?! მერე, ეს რომ იყოს მხოლოდ, კიდევ მადლობა ღმერთსა, მაგრამ ეს ჩვენი „მთაბი“ ამას რომელი სჯობა-ღებანი: ისინი მივლენ და ერთგვიან ტყუილად რომელ-სამე ქალსა, რომ ამა და ამ ქალმა შენსეოდ ქსა და ეს ილანაწკაგა. შექმდე ვაჟთან მივლენ და იმას კიდევ ქალ-სეოდ ერთგვიან, რომ შენსეოდ ისეთი ცუდი რამეები ილან-წკაგა რომ მოთქმენა შეუძლებელიაო. ამ ნაირად ამოვლენ-ბენ ერთმანეთს, ამიტომ თუ მეგობრებს, არაშედ ნათესა-ველსაც კი. შესანიშნავი მეჭორე აქ სამი: ორი გასათხო-ვანი, ერთიც ქვრივი. ხალ-გაზდები, რომელნი იცით, ვაჟებსეოდ ღანაწკაგობენ და რომელთაც კი თვალში ამოი-ღებენ ისე ნაირად შეამგობენ, რომ ღმერთმა შეარცხინოს ჩანჩუხსამე და შავთელა, ამათთან ვერ მოვლენ! რასაც კი მოიგონებენ მაშინვე თავის ნაცნობს ქალებს გარდასცემენ, ესენი სსკებს და ამ ნაირად ორის-სამის მოგონილი ჭო-რი მეორეს დღეს მოვლენ თელავში იცის. ბევრი ახალ-გაზდა ვაჟიც მინახავს ამ მეჭორეებსაცან განაწკაგობი, გაბრაზებულ-დაღონებულნი. ხანდისხან ისეთს ჭოროს მოიგონებენ ეს ჩვენი ახალგაზდა მეჭორეები, რომ ვინ-წვილ კარმა, რომელსეოდ აჩის გამოგონილი ჭორო, ღანაწკაგობის თავი მოივლას. მერე აქაური ქალები საზო-გადოდ (ზოგჯერთის გარდა) ისეთნი ბეძღებინ რომ რაც გინდა საბუთები მოუყვანთ თქვენის სიამოვნების დასაცველად, უწყალონი არიან და არც დაგიფხვრებენ.

ბუღვარსეოდ რომ გაიარათ, რომელსაც ქალებიც დასეირნობენ, აქეთ-იქიდაც გესმისთ თქვენი სახელ-გვარი. მერე, სულ იმ ქალებსაცან ისმის თქვენი გვარი, ვისაც სრულებით ვერ იცნობთ. ამის მიზეზის გამოცნობა „ივერის“ გორაკსმონდენტებისთვის და მკითხველთა-თვის მიმინდია... უკთი ხნიერი მეჭორეა, ბატონებო, და სულ სხვა ხასიათისა: ეს ყველა გაზუთებს, რვაქ-ტორებს და გორაკსმონდენტებს,—მეტადრე თელავ-ლებს,—ემდურის ძალიან. ერთის სიტყვით, ვაი იმ რე-დაქტორს და გორაკსმონდენტს, ვინც ჩუგარდება ხელში, ან ენაზედ მოადგება—ძარბან-ფესვიანად ამოიღებს! ნე-ტავი რაღა ჰსწერთა ქართულს გაზუთებში, იმასეოდ მანც კიდურადღეს: რაც ენაზედ მოადგება ურკველსფერს გა-ზუთებს მიაწერს. ესა და ეს (თავისივე ფანტაზიის ქმნი-ლებს) „დროებაში“ ან „ივერისში“ ჩაუწერითო, ნეტა რა ჩასაწერი იყოვო?! (ჰსწერთა კი?). ღმერთო ჩემო, ზე-ციურის „დროებიდამ“ ან „ივერისიდამ“ თუ იცის—არ

ვიცი, თორემ რაც ეს ზეციარსანი მეჭორე ამბობს, სრულ-ლებით ვერ ვიძრავთ ჩვენებურს გაზუთებში, თუნდ ხანთლითაც ეძიოთ! ქა, დაიწყებს მეჭორე, ნეტა ეს რა ჩასაწერი იყო გაზუთში, ადამიანმა შიშით, ვერაფერი უნდა ჰსთქვას? ვერსად ვერ უნდა გაიაროს, ვერაფერი იმეჭმედოს?! დიან, ბატონო მანდილკისნო, კვ მეჭორე ენა დაიმოკლეთ და აღარ დასწერავენ თქვენსეოდ. მე გთხოვთ, მეჭორეებს თუ ამ წერილის წაგითხვას მოგიხ-დეთ სადმე და გეწეინთ—ცივი წყალი დალოთ: მად-ლობა ღმერთსა თელავში წყაროები ბლამთ არის.

„ილიუმინაციაც“ გვედირსა თავის განუშორებელის ქონის მამხალით და ქონისვე ჭკაქებით. ვაი იმ ქონის სუნსა! რაც ამ დამეს თელავის ბუღვარშია ჭორო ითქვას—თელავის სასტუმროსათვის (გოსტინიცისათვის) მიმინთ-მეკია, საჭმელის მასლად გამოადგებათ.

ჰო, მოგონებაზედ სასტუმროსეოდ ვიტყვი ორი-ოდე სიტყვას. საღამოსეოდ (დღისითაც) რომ გაიარათ აქაურის სასტუმროს ხალკს, თქვენს ყურადღებას მიიქ-ცვას სასტუმროდამ გამომაგალი ყვირილი. შედით, რა ხანახავი წარმოგიდგებათ: წინ დიდი სტოლი მწკანეს სუფრით დაფარული, გარშემო შეიდი რვა კაცი მოთა-მამე (მეურებელნი კიდევ სხვა) ქაღალდისა. თან არაუ-ნებენ და თან ჰყვებიან საშინლად. ამ ყვირილით გაათე-ნებენ და ბოლოს დროს ჩხუბი და თავ-პირის მტკრევაც მოჰყვება ხოლმე... პურის ჭამა რომ გინდოდესთ კერძს ვერ იშოპნით, თუიდა ზეტონები ბლამა ფუფს იღებენ და მამასისხლად ჰყვირიან ყველაფერს. თუიდა ესლს თელავში ხორცი გირვანქა 7-8კაზვიკია, მაგრამ აქაურს სასტუმროში კერძს 25—30-დ ვერ იშოპნით. აქ მხოლოდ არაფი და სათამაშო ქაღალდი განლაგეთ გამოუფლველი. ამ ყმად მკირი მხოლოდ ღვიხო არის აქ.

კანეთში სრულიად დამოკა უნები; სიძინდს საფუქნე-ლი მარცვალი აქვს. ამ ერთს კვირში აგრადღა კიდევ. მტნორებთა შორის მშვიდობიანობაა. ერთი შენიშვნაც: ურკველს გაზუთებში სწორდენ, რომ თელავის მამარში მშვიდობიანთ გათავდა მილიციის მოკრებაო. ტყუილი განლაგსთ. ვერ უჩქები და ცხენები რომ გაიხტომკენ—იმში უსამარტლობა ბევრი მოხდა და საჩივრების გა-მართული, და მილიციის მოკრებაზედ კიდევ უარესი... ბევრი ფული ახგატს „მეჭორეებს“... ამ საგანზედ საჩივრების შეტანილი და როგორ დაბოლოვდება საქმე—ვიცნობებ „ივერის“ მკითხველებს.



სომეხების აჩქიკებისგანაც ბძანდებოდა თელავში  
 ესლა. დიდი ღვადაჩა: ჰქონდათ აქაურს ტერტრებს  
 ურთი-ერთ-მორას და აბესლებდნენ ერთმანეთს თავის  
 უფროსთან, რაც შეეძლოთ....

ერთი ამ ლატარიების გასწიკებას უფურთ თელავ-  
 ში და! დღეში ხუთი-ექვსი სხვა და სხვა ბიჭები, თუ დე-  
 და-კატები ატარებენ ქალაქებს ხელის-მოსაწერად და  
 მელავსად გადაადგებულის მანეთიანის თუ მანეთ-ნახკვიან  
 მწაწკინტელს სუფრას. ბატონო, აღარ გავს მისკენე-  
 ბა ამ ლატარიებისაგან: დამე არ გავა, რომ ლატარია არ  
 გამართოთ. (დამე სჯობია ამბობენ აქაური ბარბიშები) ხ-  
 მალე უცვივიან სახლში ხალხს „მელატარიები“, უნდა  
 უაჭკველად ხელი მოაწეროთო. გაგონილა! აღა-მაჭმად-  
 ხანობა სომ არ არის?! ახლა რა სათაურებია ხელის მო-  
 საწერს ქალაქებზე. აი ნიმუშები: „ლატარიაში ითამ-  
 შება ოქროს საფურცები, — ბილეთი აბაზი. ჩაი და ხილი  
 იჭნება“ (მერე გვარი ნივთის შატრონისა). მერე ნი-  
 მუში: «Лотерея. Розыгривается вязанный коверъ,  
 цѣна билету 50 коп. Будетъ вечеръ и танцы (მერე  
 გვარი М. Б.) და სხვა ამ გვარები.... ლატარიის თამ-  
 შის დამეს ჩვენებური ქალები მუხლებს დაიწვევტავენ  
 ხოლმე ხტუნობით. ოოო! თუ რომელსამე „დამას“  
 რომელიმე „კავალერმა“ არა ჰსთნოვა სათამაშოდ, ე. ი.  
 თუ რომელიმე ქალი უცვიკოდ დარჩა შენი მტერი, რომ  
 ის გაიბურტება. განა ჩვენი ფული ვი ტყვიას იყო, რომ  
 ჩვენ არ გვამაშეთო, ამბობენ გავაზას, ბული ქალები....  
 რაღა ბეკრი მოგაწვინო, მკითხველო, საითაც გაისედავ  
 თელავში, ყოველის მხრით შემოგესმება: ლატარიაზედ  
 ხელი მოაწერეთო.... რაღა ჩინი უნდა, რომ ლატარიის  
 მოთავე—აქაური „ბარბიშები“ არიან ხოლმე, იშკითად  
 „ბარბიშები“. თელაველებო! ნეტავი სხვა კეთილს საქმი-  
 ზედ ვიყოთ ეგრეთი მსურველი თანამგრობებელი, რა-  
 გორც ლატარიებზედ, პიკნიკებზედ სათამაშო ქალაქ-  
 ზედა ვართ.... ეს ასე და სოგიტ შემდეგში.... ვახუთში  
 აგრილდა წვიმების გამო.

ქართველი.

ქ. ოლევი.  
 1878 წ. აგოსტის 29.

არტაპანნი. («ივერიის კორესპ.»). ათასფერი ამბავი  
 მოგვდის აჭარადამ და ბათუმადამ. სახამ ჩვენამდის  
 მიახწევადეს; ამბავი ათასფერად იცვლება, ისე რომ მამდგი-  
 ლის განჩივა გაუძნელდება კაცს. ზედა აჭარის ემორ-  
 ჩილება თავის ბედს—ჩვენის მიღებისთვის მზად არიან.  
 მხოლოდ ქვემო აჭარა კურტანს ისვრის, რადსაც  
 აზირობენ.

აქრობამდის დერვიშ-ფაში დიდის მეცადინობით  
 ხელს უძრთავდა და ყველს ღონისძიების ხმარობდა,  
 რომ ხალხი აჯახნებოდა, ამოდოდა ზედა აჭარას და  
 ტყუილ-ტყუილ იმედებს ამღვავდა. — კონგრესის ძალი-  
 თა რუსი თქვენ თოფს ვერ გესვრისთო, რომ მოვ-  
 ლენ წინ დაუდგითო; თუ ის განონი დაარღვიეს და  
 გესროლეს, მაშინ ჩვენ მოგეშკალებითო. გზად მიმა-  
 ვალს დაებარებისა ზედა და ქვედა აჭარელები და  
 ეთქვა: მოდითო შურუთი (СОВѢТЬ) მაქვს თქვენთან,  
 თუ თოფის წამალს მოიტანთ კარგი, თუ არა და ჩვენ  
 დაგიბიბებთო. ზედა აჭარელები უარზე დამდგარან  
 ჩვენ არაფერში არ გავკრეკითო. ახლა, როგორც იქი-  
 დამ მოსულმა კანმა მიამბო, დერვიშ-ფაშას თავისი  
 წურთონა გადაუსხვანებობა, ძლივს ჰკუთსე მოსულა.  
 ახლა ხალხისათვის ცხადათ უცნობობა, რომ მთავ-  
 რომის მხრით არავითარი შემწეობა არ გექმნებათ,  
 რომ წინააღმდეგეთ რუსებს, როგორც ცინდათ ისე  
 მოიქცეითო (რამეშაქია შეჩვენებული ჩვენი დარვიშე-  
 ლი!!) ართონისა ჰსცლიან და თათრები მალე მოგვრემენ  
 უკანასკნელს საღამს. ჩვენი ჯარი და ტკლეგრაფი მალე  
 შელავდება.

დახადების დღიდან იქმნება არტაქანს ეს დღე-  
 ბი არ უნახია. უცრად გავრცელდა და დუდილი  
 იწყო: დღეს ორი დღეა არტაქანში მოვიდა სამი პოლ-  
 კი გრენადერის დივიზიის ჯარი, რომელიც იყო და-  
 ბანაკებული ახალ-ქალაქის ახლო. ეს ჯარი დაბანაკდა  
 არტაქანის ახლო, მტკვრის პირზე.

ამავე საღამოზე მოვიდა არტაქანში უფ. ბენე-  
 რალ ლეიტენანტი ტერგუკასოვი, რომელიც მიიღეს  
 შესაფერის პატივით. მუორეს და მესამეს დღეს იმან  
 დაიარა სულ საავთ-მყოფოები და მთელი არტაქანი.

განუჩალი ტერ-გუკასოვი არის ძალიან ტანისა  
 და მოსული, თეთრი თმა და ულვაშები ამტკიცებენ,  
 რომ აღმართი ამოუკვლია და ახლა დადმართში მიდის.

ხნიერია, მაგრამ მინც და მინც მხნე შეხედულებას აქვს და როგორც უტყობა არის ცნობის მოყვარე და თავდაბალი. იმისი შეხედულება არ არის ესეთი, რომელიც ხელთ ქვეითებს მოჭკვრის ხოლმე ურუნტავს...

ტერგუკასი არის ახლა დანიშნული მთელს ანტაქანის და ახალციხის ატრიალების უფროსად, ეს ატრიალები თავისივე განკარგულებით უნდა განჭყოს ნაწილებათ—კალანებათ.

თუ აქ მოსული ჯარი ბეგრანს დაჩნა ანტაქანში, რა თქმა უნდა, რომ სიძვირე ჩამოვარდება და ეს სასიამოვნო ამბავი აქაურის გაჭრებისთვის მართლაც სასიამოვნო იქნება, ჩვენთვის, დრასტი არ უნდა, ვა სამწუხარო.....

ს. ბაერელი.

10 პერიოდისთვის 1878 წ.

სახოლიტიკო მიმოხილვა

ბერლინის კონგრესის გარდაწვეტილება თან და თან სწულდება და შედის ცხოვრებაში. აი ბათუმიც დაუცვალა ოსმალებმა რუსეთს, და მადლობა დემეტრის არაგვისადმი ვაი ვაგლასი და სისხლის ღვრს არ მოჭყვას ამ გარემოებას. როგორც მოგვხსენებთ, შიში ვი იყო, რომ რუსებს ბათუმი იმ გვარისევე დახვედრას მოელოდათ, როგორც ავსტრიელებს ბესნიასში. მადლობა დემეტრს მეთქი რომ ეს შიში არ გამართლდა. ერთი წელიწადიც საკმარისია იმ ვაივგლასში ცხოვრება, რომელიც მოსდევს ყოველს ომიანობას. დრო არის დამშვიდდეს და ცოტა მინც დალაგდეს ცხოვრება. თვალა აქამდისინ მიმართული იყო საზღვარზე და მტრს გასტყვევოდა; ესლადრო არის შინისგენს მიბრუნდეს—იქნება აქაც დანახოს იმისთანა რამ, რასაც სტირს დახმარება, ხელის მომართვა, ხეიარან გზაზე დაუენება.... მშვიდობიანობას, ნამდვილ მშვიდობიანობას, თან და თან ფეხი შემოაქვს მეთქი ჩვენ ცხოვრებაში, და უნდა ვინატროთ, რომ დიდის ხნით მინც გვეწვიოს თუ არ სამუდამოთ, როგორც ნატრობენ (და თვით ქადაგობით აღიარებენ ამა ნატურას) „მშვიდობიანობის მოყვარენი“, რომელთაც თათბირებს ამ თვეს პარიზში ხალხთა შორის მიტინგი (ურთილება) გაუმართავთ. თუიცა აწ მომქმედ პოლიტიკაში ამ მიტინგს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ

იგი ღირს შესანიშნავია იმ სხვა და სხვა აზრით რომელიც გამოთქმულ იქნა საჯაროდ, ურთიანობაში, რომელზედაც დაესწრა თითქმის სამასი სული. გარდა ამისა, რა ეთქმის კაცს აწ მომქმედ ხალხთა შორის პოლიტიკაზე? რამდენადაც დაბთულია აღმოსავლეთის საქმეზე, იგი, ჩვენის აზრით, საკმაოდ არის გამოგვლული „ივერიაში“. ასე რომ მაზედ ლაპარაკი იქნება უქმი გაშეოკება ერთისა და იმავისი. მაგრამ უკაცრავად: შემიძისეხებულე მიტინგიც შეხება ერთის მხრით აღმოსავლეთის საქმეს თუ არა, იმ ომიანობას მინც, რომელიც მას დაერთვა. იქნება ესლანდელი ომიანობა რომ არ ყოფილიყო, წრეულ არც ვი შეუძლიყენენ „მშვიდობიანობის მოყვარენი“. მაშასადამე შეგვიძლიან დღიურ პოლიტიკის წრეს არ გადავაცილოთ და იმავე დროს მოვასხენოთ შემოსხენებულ მიტინგზედაც.

მიტინგი გამართულ იქნა ინგლისის მუშა-კაცთა ასოციაციის თანხლებით. თავ-მჯდომარემ (სათრანგეთის სენატორმა ტოლენმა) წაიკითხა შემდეგი წიგნი ვიკტორ ჭიუგოასგან: „ჩემო საყვარელნო ევროპიის თანამემამულენო! დიდად ვწუხარ, რომ არ შემიძლიან ვიკისრო თავ-მჯდომარობა თქვენს ურთიანობაში. მე ვთხოვლობ იმსვე, რასაც თქვენ; მსურს იგივე რაც თქვენს ცსურთ. ზავი ჩვენი არის თესლი საყოველთაო ერთობისა. ნურას შეგწუხდებით. მთავრობანი ბევრს რასმეს მუცადინებენ, მაგრამ ყოველი მუცადინეობა ფუტყდ ჩაივლის თუ მიმართული იქნება თავისუფლებისა და მუშა-ხალხის უფლებათა წინააღმდეგ. უფურთ ამ გვარ მუცადინეობას მშვიდად და გულ-წენარად. მომავალი თქვენია. რაც ვი რამ ხდება, თუნდ თქვენ წინააღმდეგ იყოს მიმართული, მინც სარგებლობა მოაქვს თქვენის საქმისათვის. წარემართებით წინ, იმუშავეთ და იფიქრეთ. თქვენ ხართ ერთი ხალხი—ევროპა, და გაქვსთ ერთი წადილი—მშვიდობიანობა. თქვენი მუგობარი ვიკტორ ჭიუგო.“

შემდეგ წაიკითხეს ლუი-ბლანისგან მოწერილი წიგნი:

„საყვარელნო თანამემამულენო! მე მტონია, რომ ესლად, როდესაც მონარხიული ევროპა აღჭურვილია, არ მინდომებთ იარაღის ჩამოცდას რესპუბლიკულ სათრანგეთისათვის. ხალხმწირო ყოჩი ღობა იქამდისინ იქნება სასახელო ხარისხად ვიდრე ვაცობრიობა არ მიადწევს თვის სრულ-წლოვანობას; უფლებას მხოლოდ მაშინ აღარ ვტი-

რებს ძალა, როდესაც იგი (უფლებს) მთლად იქმნება დაიკვიდრებულნი ქვეყნიერებაში. მაგრამ, რაც უნდა იყოს, მე მანც ვეთანხმები თქვენ აზრს, რომ საზოგადოება მამზადებულ უნდა იქმნეს იმ წყობისათვის, რომელშიაც წახებასანი აღარ იქმნება შეურყეველი დასამტკიცებელი სახუთი. ომიანობა, რასაკვირველია, ეწინააღმდეგება საზოგადოებრიობას, ურთი-ერთობას. ყოველ საზოგადოებრივ წყობას აქვს განზრახვა დაუშლას ადამიანს კისრის მოჭირება თვის მოძმესათვის. საზოგადოებრივი წყობა მით განიზრჩევა ველურ მდგომარეობისაგან, რომ ყოველ-გვარნი დავა და უკმაყოფილობა განიხილება მედიატორების მეორ. ამიტომ, უმადლესი ხალხთა-შორის, სასამართლო იმ საქმეთა გასახილავად, რომელთა გარდაწვევით-სათვის ამ უმად თოფიანრადს ხმარობენ, იქმნება მხოლოდ განვითარება საზოგადოებრიობის დედა-აზრისა. იგივე კანონი სამართლიანობისა, რომელ-ზედაც დამყარებულია თვითთუღ გვამთა ურთი-ერთობა უნდა სუფიქსად აგრეთვე სხვა და სხვა ხალხთა და ტომთა შორის. ორივე შემთხვევაში ძალას უნდა წაერთვას შემდეგ უფლების დარღვევისა. საჭიროა აცილებულ იქმნეს ის მრავალი სიბოროტე, უსამართლობა, რომელიც უსათუოდ მოხდევს ძალადობას.

„ჩემის აზრით, მამულისა და კაცობრიობის მოყვარეობას, ამ ორივე გრძნობას იმ გვარათვე შეუძლიანთ მოთავსდნენ ერთი-ერთმანეთში, როგორათაც ოჯახისა და მამულის მოყვარეობას. გარდა ამისა, მე არა მგონია რომ კაცს შეეძლოს თავადგან აიცილოს რომელიმე დედა-აზრი მართლ იმეტიმ რომ უტლობა (აუსრულებელი რამ) აჩისო. ყოველიფერი, რაც კი რამ თვით საქმით აჩსებობს ამ უმად, რადისმე უწინ იყო მხოლოდ აზრში, იყო მხოლოდ იდეა. ყოველი ამ უმად აშკარა და ყველასათვის ცხადი ტყუილმართება იყო რადისმე ახალი. რაც ესლა მიგვაჩნია სამართლად იყო რადისმე სიცრუე. დღევანდელი ტყუილმართება გუშინ იყო უტლობა. აგრეთვე დღევანდელი უტლობა შეიძლება ხვალ გახდეს ტყუილმართებად. თუ ომის მაგივრად ამ წამსვე ვერ იქმნება დადგენილი მედიატორთა სამართალი, მანც არავითარი სახუთი არ აჩის, რომ ეს აზრი უგუბდებულ იქმნეს. უან-უგარუსისი არ იყოს, თუ ეს აზრი არ სრულდება, ბრადი ამში აქვს არა თვით აზრს, არამედ აწინდელის კაცობრიობის უგუნურობას. მართლად და უგუნურობას

ხალხთა შორისის უკმაყოფილობის იმ გვარი გადაწვევა, რომლის შემდეგ თვით გამარჯვებულა მხარეც წაგებაშია. არამც თუ დამარცხებულს, არამედ თვით გამარჯვებულსაც მოხდევს მრავალის სიცოცხლას დაღუპვა, მრავალ დაჭრილთა აუარებელი ტანჯვა, ცოლთა და დედების ვაი-ვაგლახნი, ობოლთა უბედურება, სოფელთა გაოხრება, ალბ-მიცემობისა და შეურნეობის დაცემა, და ამასთანავე ყოველ გვარ ხარჯთა მომატება. ვამბობთ: „კვი დამარცხებულთ!“ და ისტორიის უმატებს: „კვი გამარჯვებულთ!“

ბოლოს ღუბილანმა აღიარა აუცილებელი საჭიროება ყველა მშვიდობის მოყვარეთათვის, რომ ეცადნენ დამეკადრნენ რესპუბლიკის დედა-აზრნი, რომელთაც განსაკუთრებით შეუძლიანთ მიანიჭონ კაცობრიობას მარადი მშვიდობიანობა.

მიტინგმა მიიღო წინადადება, რომელშიაც სხვათა-შორის აღიარებულა სურვილი, რომ ომიანობას სამუდამოდ მოეღოს ბოლო. ამისათვის ყოველმა მიტინგის წევრმა უნდა იხმაროს ყოველ-გვარი საშუალება რათა განკარგულს თვის საზოგადოებაში შესაფერი აზრი და და მიმართულება; აგრეთვე ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ თვის მთავრობას ხელი მოამართვიანოს ხალხთა მედიატორთა სამართლის დადგენისათვის. ჰარ-ლანდის წევრთა არჩევანშიო, —ამბობს მიტინგის გარდაწვევით, —იმ კანდიდატებს უნდა ჩაუგდოთ კენჭი, რომელიც ხალხთა-შორის მედიატორობის მომხრენი არიანო. მუშა ხალხთა ინტერესი და მიდრეკილება ყველა სახელმწიფოში ერთი და იგივეა, და ამიტომ არავითარი მიზეზი არ სუფიქს ჩხუბისათვისაო.

**პროვინციალური მეთვალყურის ჩივილი და უნინოვნები**

(შედეგი\*)

**II**

რეტოაგვა, გაათავე უთავბოლო უბედობა მენს მეგობართან, ჩვენ გვინდა თქვენი პროვინციის, თქვენი უდაბნოს ამბებიო. თუ ღაზარაკი გინდა, გვიამბე რამე სეიჩინაიო“, შემომიტყეს მეითხველი. ბატონი ბმანდებით, შეგატყობინებთ. ასეთ-ასეთ ამბებს მოგწერთ, რომ

\*) „ივერი“ № 33, 1878 წ.



თქვენ დღეში არ გატყვევდით, თუმიცა გი იტყვიან: აი, დასწევს ღმერთმა, ეს ხომ მეც გავიგე, ეს ხომ მეც ვიტყვიან..... ეჭვს, მეც ბევრის თქმა მინდა, მაგრამ, თუკი უნდა არ იყოს, ბიძი წყლითა მქვს სავსე. როგორც მიადგები ისეთს საგანს, რომ შენი შინაში იმაზედ გინდა ამოხსნისა, ასეთი გაჭიანჭრებული ხმა შემოგვამის სუფი-ო-ო! რომ ენა შინაში ჩავიყვარდეს. 'ღმერთმა შე-მარცხვინოს თუ დირობული ბატი იტყვის ასე გრძელს კილოზე თავისს მეც სუ და შენც სუ"-სა. თუ ევს ვამლამდინ ხელი როგორმე მივაწვდინეთ, რომ იმასაც მოგასხსნებთ, თუ არა ჯანი გავარდეს.

ბატონო, ავით-მყოფობის გემო შემოვიდა ასენი-ზაცისა. კარგი მოგვცოთ, კარგი ეგ იყოს, მომეტებულად სოფლად, სადაც კარ-მიდამოები სავსეა ახლისა თუ ძველის პატივით, საქონლის ბაგები დაუგველია და აშმორებულა; აქ კამიენს დაუკარავს ტატყი—თყისი, ამოუთსნისა მუსლამდინ ორმო, შიგ ჩამდგარა მომარდულივე საქონლისა. გამოირეკა საქონელი. ვინდა დარჩა ბავის მოძულელი? მამა-გატემა უაფხულობით სხლისა არ იციან რა, მინამ უქვე დღე არ დადგება, სახლში რჩებიან დედ-კატები, რომლებიც დიღითვე ზოგი ქერის, უჭრებლის, მუსუდოს საგლეჯლად მიდის, ზოგი ცოცხლის მოსავროვებლად, ზოგი ქარქვეტისთინ, შვინდ-კრინჩისთინ და სხვ. და სხვ. დარჩება სახლში ერთი ვინმე მუშის ჯერის მოსახარებით და თქნებზე ქვიდია თუ ბავი პირთანდინ სავსეა წუმბით! ამან რა იცის, თუ რა შედეგი მოაქვს ამ შინაშიანს წუმბეს, რომელსაც დაატყრს მზე, ადრელებს, აშმორებს, რომელსაც დასხვავა ბუზი, იბერება შინაშიანი წუშის წინით, შედის ბავის პატრონის სახლში და უშინ-ძევს საჭმელს, სასმელს, ჭურჭელს. უბედურება ეს არის, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენის ბავის კარები (უფრო ქართლში) დერეფანში გამოდის, რადგან საქონლის მო-პარვისა ემინიანთ, რომ ცალკე კარი გაუღოს. ამ საზარელ, მზისგან გაცხელებულს წუმბეს ახდის და მხრბობელი სუნი და გადის, რასაკვირველია, დერეფანში, რადგან ბავს ზვიდგან ან სათიკო, ან სასიბინდე ჯიხური ადგია, რომელიც ცუდს სუნს ზევით არ უშეებს. დერეფანიც— უაფხულის საძილე გლეხისა— ისეა მოწყობილი, რომ როგორც მოგვსხსნებათ, რომ ამ „მშვენიერს კარდის სუნს“ არ იწვევს გარეთ, რომ ჭარბი გაფანტოს, და რჩება სა-ხლში. აქედგან ჩნდება ციკვებ-ცხელებს, რომლის მოსარ-

ჩენად შეითხავთან გაჭბიან. იმდენი მოხერხება არ აქვთ, რომ თავისით გაიგონ მიზეზი სენისა და შეითხავთან დაკარგული დრო თავის კარ-მიდამოს გასუფთავებას მოინდომონ. გულას შემატკივარი არა ჭყავთ, რომ ტვინში გაუთქვიფოს ეს საჭირს საგანი ჯანმრთელობისა. მე შენ მოგასხსნო, მომდგარი ქადაგებაში გაუხსნის ამ საჭირს-ებას და თვით მაგალითს უჩვენებს. ვაი, მაგათი ბრალი ამითანა მოძღვრების ხელში. ნეტა კვიდისებოთ „გლანის ნასამობის“ ძღველეს?!....

სწორე მოგასხსნო და ჩვენი საზოგადოება უფროს-საჭ-როებს ასენიზაციას, გასუფთავებას, ვინემ ქუჩები, ბაგები და კარ-მიდამოები. ეს იყოს ქრისტიან იგავს ძ-გონების სოკბალზე და დვარძლზედ, საცა მოსები ეუბნე-ბიან ბატონს, რომ უნაში მტერს ღამე დვარძლი ჩაუბ-ნევიან და პურს მოტყვიან, ამოკმარვლიან.— არა ჯერ შემოვიდესო. მე შენ მოგასხსნო, შემოსული არ არის ჩვენი საზოგადოება თუ! რამდენი შემწიფებული, უკვლად უკარგისი გოგრა გდია ოხრათ, ვინ დასთვლის!... დიან, იგავისა არ იყოს, უნდა ამ ჩვენს საცოდავს საზოგადოებას გამარგვლავ, სისუფთავე, მაგრამ ჩვენის გლეხის ბავისა არ იყოს, გოგრაბს თავის სიმეწყაღეში, თავის წუმბეში, და თუ გაბედე და სახრე დაარტყვი ამ წუმბეს, დიდად გა-რისხდება; მამა მიცხრონდება, წინწყაღება თვალები დამთხ-როს! აბა, ჩემო ნათლია, რაზედ იჭირვებ საჭმეს? რაზედ ათხრევენებ თვალებს? არა სჯობია ეგ სიმეწყაღის გუბე დააშრო, გაისუფთავო უნეობითი მხარე შენის ცხოვრე-ბისა, რომ ნამდვილი, საღასი კაცი ამოხვიდე და აღარავინ შემოგაფურთხოს. თორემ დოქს დაგვიძახებენ, ღოგს!! და ნუ გეწვიება. ამასაც ამოებ, ჩემო ნათლია, როცა გარედ გამოგვყენენ შენს სიტყვად-გატემას, რომ მართა-ლია, ასეთი ვარო, მაგრამ არ უნდა დაეწერათო, არ უნდა გამოეაშვარებინათო. გატონილა!? ამასუდ მეტი სიბრ-ყვედა იქნება კაცისა!?... ეჭვს, გიყვარდა, მამაკ, გუთხნი, დაწექ და დაიძინო. გიყვარს, გვსამოგონება უმცავსო ცხოვრება, და დაიძინე, ჩემო ნათლია ქართველო, წუმბე-ში, ექვლეინე და ვინახეთ ძირ-ძირ წასვალ თუ არა!....

დიან, იმას მოგასხსნებდით, რომ უნეობითს მხ-რეს ჩვენის პოპონდის საზოგადოებისას გასუფთავება, დაწალდა უნდა. რას ჩავცივი „უნეობით მხარესა“, ასე საშინელ მხეცებათ გამოგვავს შენი პოპონდრელები და ესმით გი „უნეობითი მხარე“ რა არის, შემნიშნავს ჩემი

მკათსეკელი, ზუსენ და! ზუსენათ მდაბილათ, იმათი ჭკუის სამყოფად: ზემო საცოდლო პრეკინციელო ქართველო, ლამაზ ქალს, ან ვაჟს რომ დაინახავ, ამასთან მორთულ მოპრანჭულს, არ მოგეწონება ხლამე? უჭ, რა ლამაზია! უჭ, *преlectн-а*, იტყვი ხლამე. გული ფაფა-ფუფს დაგიწეებს სიამოვნებით, ასე ჭტანია, მე ვარ ლამაზიო. ანა, ესლას ეს ლამაზი გარეგნობით ქმნილება ახლო გი-ტან, იმის სულში ჩაიხედე, ხასიათი გაუჩინე. თუ რა-გორც სანე აქვს ლამაზი, ისევე სულა, ხასიათი აქვს, ხომ უფრო მოსაწონი იქნება და თუ გარეგანს სილამაზესთან შინაგანი სიგონაზე აქვს, მაშინ ის ლამაზი ქმნილება მაიმურსედ საინოზღარა გახდება. ამისთანა გაცნე იტყვიან, რომ ამას ხსენება არა აქვს, ხასიათი ცუდი აქვსო. გაცნუნდა უფვარდეს თვისი მოძქე, იმისთვის არას შოგავდეს, სწავადეს სხვის წვა-დავკა, სტანჯადეს სხვის ტანჯვა, შესწირვიდეს მსხვერპლად თავს თავის საყვარელს მამულს, რაღაც საჭირთა — თავის კალა-საბუქს გი არა. ეს ნუ გტანია, ჩემო უღანბრელო ქართველო, მამულად. — ერთის სიტყვით რაც შენ შენი თავისთვის გინდა, ის შენ უნდა სხვისთვის ინდობო. თუ ამ სიტყვების მიმდევარი იქნება, თუ ეს სიტყვები სწამს და კადეც ასრულებს, მაშინ ის უფრო სულთ ლამაზი. ან მოკლეთ რა ში მდგო-მაკობს მხეობითი მხაჩე. ეს ჩემოთვლილი თვისებასი სულისა რომ გქონდეს, ჩემო ნათლას ქართველო, ჩემო ჭკუით გლახს საზუარო, მაშინ შენ ვინდა რაღაც დაგი-წიქს. მაგრამ შენში ვიწრო, დამახინჯებული, გადაწვე-ლებულ გადამხეცებულთა ეს თვისებასი; მარტო შენის ლახისთვის გინდა უფველისფერი, მარტო შენი სახნა-სათესი მიწება მიჯანსია მამულად და ეტანის შენის სი-რტეგნით ვა გიყვარს, გაფუჭებულია, სახლობა გალაქ-თავეულია. შენ სახლობა ისეთ ნაირთვე გიყვარს, რა-გორც დათვს მეუღანბრევი კრილავის ზღაპარში, რომელ-მაც ბუჩი რომ ვერ მოაშორა საყვარელს მ გობარს, ჭკა-ჭკარა შუბლში და ბუჩს თან მეგობარსაც ფეხები შეა-შკურინა. შენ, ჩემო ნათლას, ნუ გწვინს, ნუ! რაღაც შენს სიმაჩქვეს გინჯვებს ვინმე. საჩკეში ისედაც, შენი სი-ტონჯის სახე სხანს და ფეხს სხვასა სცემ მაიმურსით: შესე, რა გონჯია ის ვიღაც ოხერ-ტიელი იტქირება ამ საჭიდგანაო. ის შენი გონჯი სახეა ხლამე გადასული, სხვისა არა ვისი. გაიმება, სასიამოვნოა შენთვის, რომ სულ მეგ სხეზე იყო?!...

წაკოლა — ც.

(შემდეგ იქნება).

მოკლე ზენიზენები საზღვარა ბარათიდა

(შემდეგ \*)

მე ცოტა შორს წავედი და თავ-საგანს თავი დავა-ნებე. მკათსეკელის უურადლებას ისევე ფრიდრისხვადის მცხოვრებლების აღწერას მივაქცევ. ამ სოფელში, რა-გორც სხვა სოფლებში, მარტო გლეხები არ სცხოვრე-ბენ. აქ ამათის გონების გამოვიძებენი და განათლების ფეხების ჩამდგმელნიც სცხოვრებენ. მე ვამბობ მღვდელ-ზე და მასწავლებელზედ თავისის სასწავლებლითურთ. ამათზედ მეტი გი არავინ სცხოვრობს ამ სოფელში. აქ თავადისა და აზნაურის ხსენება არ არის. ჭკრეთ ვჭსთქვათ რამდენიმე სიტყვა მღვდელზე მ. კავკაშტიანზე. წარ-მოადგინეთ ახალ-გაზდა, პირ-მოამარსული და ცოცხალი გაუ-განო, ცნობის დიდი მოყვარე და თავისის თანამდე-ობის ბეჯითი აღმსრულებელი — ესე იგი, უფველს ბედ-ნიერს დღეს მქადაგებელი — და მაშინ ცოტათი მაინც გქმნებათ თვალ-წინ ამ მღვდლის სურათი. ამას შეუსრუ-ლებია გუჩის ლეიფციხის უნივერსიტეტში და ეს განათ-ლებული გაცი სოფელში გი მღვდლადებს. მაგრამ განა შეიძ-ლება აქაურს სოფლებში უნივერსიტეტში გუჩს შეუს-რულებელი მღვდლებად გამოდგნენ? არა, და ამისათვი-საც ვეველა სოფლებში განათლებული მღვდლებია. უნდა გითხრა, მკათსეკელი, რომ ამ ახალ-გაზდა მღვდლად თავის ცნობის მოყვარებით და ბეჯის ცოდნით გამაგვირვა. რა წიგნი არ ვნახე ამის მდიდარს ბიბლიოტეკაში? მე თქვენ გითხრათ საქართველოზე არა იცის რა? ამას წაუ-კითხავს უფველი, რაც გი ამ ბოლოს დროს ნებებს დაუწერათ საქართველოზე, ამას თავის სტოლზე უქვს ისეთი წიგნიც, სადაც ქართული ბეჭდური ასაკობა მოყ-ვანილია. არც რუსეთი გაუშვია უურადლებად. აი ესლას ჩემს აქ მოყოლობაში ეს მღვდელი ჭკითხულაბს შემდეგს თხზულებას: „Vom Don zur Donau, von Karl Fran- zof.“ ამას დიდი უურადლება მიუქცევია თხზულების ერ-თი ადგილისთვის, სადაც ავტორს გამოჭევას ერთი ციმ-ბირიდან დაბრუნებული კაცი და ლაპარაკობს, რომ ის მოქმედობს ისე გი არა, რაგორც მას სურს, არამედ ისე, რაგორც სხვას სურს, და ამისათვის თავის-თავს და თავის ჭურის კაცებს ეძახის: „Die Gezwungenen“ „ძალდატანებული“. რაღა თქმა უნდა, რომ ეს მღვდელი

\*) იველია № № 31, 32, 33. 1878 წ.

წმინდათ უნდა სცხვრებდეს და კიდევაც სცხვრებას. ამისი მშენიერი საკვლესიო სახლი და ამის მოწყობილობა, სწორედ გითხრად, საამურია. ამ მღვდელზე ნაკლები აღარ აჩის სწავლით და ცხვრებით ოტტონდორფის მღვდელი, მ. შტრაკე \*).



დროა, რომ ფრიდრიხსვალდის მასწავლებლის და სასწავლებელის მდგომარეობის აღწერას შევუდგეთ. მე წინედ ვსთქვი, რომ სასწავლებელი მაღლობზე დგას, მეთქი. ამ სასწავლებელს არტურის გარეშემო სათიბი, რომელიც შიდა თხლად დგას სხვა და სხვა ხეხილი, უფრო ვაშლი და ალუბალი. წინ კიდევ აქვს პატარა ბაღი, რომელიც თურქი ბეჭითად მუშაობს ყოველს დღეს მასწავლებლის ცოლი. თვით სასწავლებელი სამ საერთოლიანი სახლია. ერთი საერთოლი დედა-მამაში დგას და შეადგენს სარდაფს; ორი საერთოლი მიწას ზემოდ. შუა საერთოლი სამი პატარა ოთახია და ერთი დიდი სამსწავლებლო ოთახი. პატარა ოთახების ' და დიდის ოთახის შუა აჩის მშენიერი კარიდორი, თლილის ქვით დაცული. ამ კარიდორიდან ასდევს თლილის ქვის კიბე ზემო საერთოლიში, სადაც სცხვრებას მასწავლებელი. ამას უჭირავს სამი პაწაწინა და სამი მოზდილი ოთახი. რაღა თქმა უნდა, რომ ფრიდრიხსვალდის მცხვრებლების განმანათლებელს კარგად ექნება მოწყობილი თავისი სადგომი და კიდევაც აქვს. ამისი დაბაზის (ზაღის) მოწყობილობა სასწავლად სასიამოვნოა. მე და ჩემი ნაცნობი უმაწილი უფლოვნები რა წამსაც ჩამოკვდით ფრიდრიხსვალდში, პირ-და-პირ მასწავლებელთან წაკვდით დაუკითხავად, (რადგანაც უფლოვნები ნათესავია ამ მასწავლებლისა), აკვდით კიბეზე და ზაღაში თავი შევყავით. მე აქ ვინაზე ერთი შესანიშნავი სურათი, რომელიც მკითხველს უნდა გარდაესტე: დაბაზში სკამები და სტოლები სულ ერთს

გუნტულში იყო მიგრაციული და ერთი წაბლის ფრის თმით შემოსილი, მოშავო თვალებიანი, დატყეცილ ლოკებიანი და ტანოვანი გასათხვარი ქალი ჩამკვდარიყო ძინს; ედგა გვერდზედ პატარა წმინდა „ბოჩკით“ წყლი და რეცხდა თავისის ფაფუკი ხელებით ზაღის იატაკსა, რადგანაც მეორე დღეს კვირა იყო. რომ დაგვიანხა ჩვენ, მარდად წამოხტა, ბოღიში მოითხვავა, რომ აჩუქობა იყო დაბაზში, სისწრაფით ვეველაფერი მიაღაგ-მოაღაგა და მეორე ოთახში გავიდა. ჩვენთან დაჩხა იმისი ცოლათი ხანში შესული დედა. ამ სურათის მხსველს თავში ნათლად გამოესახა ის აზრი, რომ კვრახვილ ადამიანს, როგორც სწმინდით ცხვრება უყვარს, ისე მუშაობაც. ქალი მალე გამოვიდა ისევე ზაღაში— თავ გადავარცხნილი და ფეხ-ჩაქმული. ის მე გაკვირებით მიტყუროდა, როცა გაიგო, თუ რა შორის ქვეყნიდან ვიყავი, და ცდილობდა დაზარალები განუწვევებოდი მოხაწილეობა მიეღო. რადგანაც მასწავლებელი შინ არ იყო, ყავისდალევის შემდეგ, გამოკეთსოვე და ჩემს სადგომში წამოკვდი.

ზემოთ ვსთქვი, რომ სასწავლებლის ოთახი შუა საერთოლიშია, მეთქი. ეს ოთახი დიდი და მაღალი ოთახია. ფანჯრებიც დიდები აქვს. შიგ ამ ნაიჩადარის მოწყობილი: შუაში ფანჯრების პირ-და-პირ განიგებულა მოწაფეების სტოლები. ეს სტოლები დიდის ხნის გაკეთებულა და ამისათვის ცოტა რა რომ უფრო ძველი ფასონისაა. რასაკვირველია, ამით შურვის მისაუღებლები არ აქვთ; ერთი-ერთმანეთს უწვევენ ზურვის მისაუღებლობას. საწერი და საკითხი ფიცრები გი სრულებით კარგი აქვთ. სასწავლებლის დიდი ფიცარი ანუ დოცკა კედელზეა ჩამოკიდებული. სტოლების წინ სდგას მასწავლებლის კათედრა. კედლების გარეშემო ჩამოკიდებულია ქულების და პალტების ჩამოსაკიდებლები; კედლებზე უველა ქვეყნის ქარტების მიგრული და შკაში ანუ განჯინაში სასწავლებელი წიგნები და სურათები საღმრთო და ბუნებითის ისტორიისა აწვეია. საჭირო ნივთები გი, ყოველ დღეს სახმარი, მასწავლებელს თავის კათედრის უჭრამი უწვეია. ამ სასწავლებელში ამ ყამად ოთხმოც-და-ათი უმაწილია— ორმოც-და-ათი ვაჟი და ორმოცი ქალი; მაგრამ ეს უმაწილები მარტო ფრიდრიხსვალდიდან არ აჩიან. ამ სოფელზეა მიწერილი ორი სხვა პატარა სოფელი, რომლებშიაც სამასი სული, ანუ სულ ოც-და-ათი

\* ) მე ამ მ. შტრაკის სახლში ვინაზე ათამდის ასო-გაზღა ხუთმეტრის და თექვსმეტრის წლის ქალები, და, რასაკვირველია, ამ გამოკვლევამ მიამერა ჩემი უროდლება. როგორც შევიტყუე, თურმე საქონიანა ალთად აქვთ შემძლებელს კარგებს— უფრო გავრცებს თავისი ქალები, დაბლის კლასების გათავების შემდეგ, მიამარონ ზავიოსის და ნაწილს მღვდლებს, უფრო სოფლებში— სიმრთელის გასამაგრებლად და მხეობის სასიამოვნის გასახსნოდ. ერთი წლის შემდეგ მათ თავიანთი ქალები უკან მიჭყავთ და აღიკვებ დიდ კლასებში სასწავლებლად. მ. შტრაკე თითო ქალის აღზდაში წელიწადში იღებს ოც-ოც თუმინს და მშენიერიადც ინახავს.



(30) კომლი კაცი ცხოვრობს; ასე რომ, სამ სოფელში ამ უმად ირიცხება 700 სული ადამიანი და ამ რიცხვი-დამ სასწავლებელში სწავლობს 90 უმწვილი. ჩემის გა-მკვლევით საქონალიში ყველგან—ყველა სოფელში შვიდასი (700) სულიდამ თხმცრ-და-ათი უმწვილი სას-სავლებელში დადის—სხვანი კი ზოგნი დედ-მამანი არიან, ზოგნი კიდევ ძმები და დედა, რომლებსაც სასწავლებე-ლი გაუთავებიათ, ზოგნი კიდევ უსუსური ბავშვები არიან. ამ რიცხვების მნიშვნელობას უფრო გარკვევად გაიკებს მკითხველი, თუ წარმოიდგენს, რომ საქართველოში ბევრს სოფელში ათასობით და ორი ათასობით სული ცხოვ-რობს და ამითში ერთი მოსწავლე უმწვილც არ არის.

ფრიდრიხსგალდის სასწავლებელი შესდგება ორის კლასიდგან, და ერთი მასწავლებელი კი ჰქვას უფ. შკუ-დერი. საზოგადოდ უნდა შევნიშნო, რომ აქ თათქმის ყველგან ორ კლასიანს სასწავლებელში თითო მასწავლე-ბელია. რადგანაც უმწვილები ბევრნი არიან და არა ტხოთ ერთ ოთახში ვერ დაეტივიან და ამასთანავე კიდევ თი-თოეული კლასის შეგინდები დაყოფილნი არიან რამ-დენიმე გუნდათ. აქურს მასწავლებელს, როგორც სხუბ-საც, ეს წესი შემოუღია: დილით შვიდ საათიდან მო-დებული თორმეტის ნახევრამდინ ასწავლის პირველის, ესე იგი უფროსის კლასის მოწაფეებს, რომლებიც ზოგო-ერთს სავსებში, ორ-ორ და სამ-სამ გუნდათ არიან და-ყოფილნი; ორის ნახევრიდან კიდევ სუთის საათის ნ-სევრამდინ—რასაკვირველია სადილს უკან—მეორე კლასის მოწაფეებს ასწავლას და ესენიც გუნდებთ ჰქვას და-ყოფილნი \*).



სასწავლებელის კვადელზე სხვათა შორისა ორის გავ-რული სავსების და გავკეთილები სია. ამ სიაში შემდე-გი სავსების მოსხენებელი: სადილთ სწუელი—ანუ სარ-წმუნობებითი სწავლა, წერა-კითხვა, ნემეცური ენა, დაკ-ვირვებითი სწავლა, ანუ ბუნებითი ისტორია, თვლა ანუ არითმეტიკა, გეოგრაფია სამშობლოსი და მთელის ხმე-ლეთისა, ისტორია, სატყა, გალობა და ხელ-საქმე ქალე-

\* ) შემთრობით კიდევ სხვა წესია: სწავლას იწყობენ რვა საათიდან და ათავებენ დიდ კლასში თერთმეტ საათსკედ; მეორე კლასში იწყობენ სწავლას პირველის საათიდან და ათ-ავებენ ოთხის ნახევარსკედ; მესამე საათსკედ—რასაკვირველია, სა-დილოს, პირველის კლასის მოწაფეები კიდევ იჯობებიან და სწავლობენ რვა საათიდან, სხთელზე ანუ ლამაზსკედ.

ბისთვის. მე დავსწავარი თითქმის ყველა მოყვანილ საკ-ნების სწავლაში როგორც ამ სასწავლებელში ისე სხვა სოფლებიან სასწავლებლებში, და ასე გასინჯეთ, დრენ-დენის ორ გამოჩინელს სამსწავლებლო სემინროსშიც. მაგრამ დრო ნებას არ მამლეც წარუდგინო მკითხველმს, რომლებშორის უთუოდ ბევრი მასწავლებელნიც იქნებიან, დაწერილებითი ანგარიში შესახებ ყველა და უოკელ ვაკრის გაკვთილებისა. მე აქ მოკაყვან მხოლოდ ორის სავსის ანგარიშს—ნემეცურის ენისა და არითმეტიკისა.

ივნისის 27-ს, ფრიდრიხსგალდის მასწავლებელმა, სადილის შემდეგ ორის ნახევარსკედ დაიწყო ნემეცურის ენის სწავლება. ამ სავსეში დასალი კლასი სამ გუნდად ჰქვას გაყოფილი. პირველ გუნდას მიუძღვნდა და დაუბ-ნა: წაიკითხეთ ესა და ეს გვერდი ფურტაკრზე.—ამ დროს მეორე გუნდი შეუდგა წერას: Kunst bringt Gunst (სელაგნებას მოაქვს ანუ მოსდევს თან საათობეისა). ხოლო მესამე გუნდის მოწაფეები კიდევ —ქქსისა და შკ დის წლის ბავშვები შეუდგნენ: ამ მარცხელების და სტრეების წერას mein, dein და სსე.—თითოეული მოწაფე ცდილობდა ასაკები დასათიანად დაეწერა. პირველი გუნდი კი კით-ხულობდა ფურტაკრზე. რამდენიმე წინადადება, ანუ აზრი წაიკითხა ერთმა, რამდენიმე მეორემ და რამდენიმე კიდევ მესამემ; ასე რომ კითხვაში მიიღო მონაწილეობა პირ-ველის გუნდის ყველა მოწაფემ. კითხვა რომ გაათავეს და მასწავლებელი დაწმუნდა, რომ ვაკრისანად კითხულობენ ყველანი, მისცა მათ სხვა და სხვა კითხვები: რაზეა და-შარავი? რა ატეულებიან ფურტაკნი? რაში იხენს მოთქ-რებას? რა არის სტატისის აზრით დედა ფურტაკნი? რა მნიშვნელობა აქვს დედა ფურტაკის ფურტაკების საზოგა-დო საქმეში? ერთის სიტყვით—მასწავლებელმა კითხე-ბით თითოეული აზრი სტატისისა ნათლად გამოათქმევი-ნა მოწაფეებს და ყველა შემთავრებული და გამოკვლეუ-ლი აზრი ყველას ერთად გალობით ათქმევინა. მნელი წარმოსადგენია ის სისწრაფე, ის მისრა-მოსრა, რა სის-წრაფით და მისრა-მოსრით მოქმედობდა ფრიდრიხსგალ-დის მასწავლებელი, როგორც ცერცვი—ეს პატარა კაცი ისე დასტოდა და სხვა გუნდებსაც უურს უკლებდა, სომ აზრებიც ცუდლუტობსო. დიდი სინთე იყო კლასში, მხო-ლოდ მოქმედი პირების ხმა ისმოდა. მასწავლებელმა გან-თავა მტყადინეობა პირველს გუნდათს, უთხრა ამ გუნ-დის მოწაფეებს თავიანთ სიტყვით დაეწერათ რაც იდა-

მარჯვს და წაიკითხეს ფუტკრის შესახებ, და თვითონ  
 სისწრაფოდ მიუბრუნდა მეორე გუნდსა. ამ გუნდის მო-  
 წაფეებს წაიკითხა დაწერილი: Kunst bringt Gunst და  
 მ სტა ვითხვები: რას ვუწოდებთ ხელკანებს? მიიხსარიო.  
 —წესა, ვითხვა, მსტრობა, გალობა—ყველა ეს არის  
 ხელკანება, თუ არა? დამისახელეთ ვიდრე ვაგრის მოქმე-  
 დებანი, რომლებსაც შეიძლება ხელკანება ვუწოდოთ. სან-  
 მოკნება რაღა არის? ანუ ვიდრე ხალხი? რა სარგებლობა  
 და სიამოვნება მოაქვს ხელკანებს? მრავალი ვიდრე სხვა  
 ვითხვები მისცა მოწაფეებს, აღაპირაკა დაღვკებით — თი-  
 თოეული ნათელი აზრი გალობით ათქმევინა ყველას და  
 დაუნიშნა ჯერეთ გადასწერად და მეტე წასაკითხავათ მ-  
 ტრან სტატია ფრინველის ბუდე. “ ბოლოს მიუბრუნდა  
 მწაწკინა შეგიძლება — მესამე გუნდის მოწაფეებს, სი-  
 წაფით დაუშინჯა ნაწერები, ზოგს მოწონა, ზოგს დაუ-  
 წუნა და გაუსწორა, და დაჭრა ტაში. სუველანი გას-  
 წოდნენ და გასასის ფიცარს დაუწეს ტქრა. გაიმეორეთ,  
 ეუბნება მასწავლებელი შეგიძლება მამ — მამ — მამ — ყვე-  
 ლამ. თითოეულმა ცალკე. — აი დავსწერ ამ ხმას — გ. სწერს  
 თვითონ მასწავლებელი და აწერინებს მოწაფეებსაც. ხელ-  
 მეორედ აწერინებს და ათქმევინებს ხან ერთად ყველას  
 და ხან ცალკე. მოძებნეთ ეგ ასო თქვენს წიგნებში და  
 გამოთქვით ვიდრე. მეტე მიუბრუნდება ერთხანად მოწ-  
 ყობილს უჯრას, რომელშიაც უწევია მოძრავი ბეჭდური  
 ასოები. იღებს გ და ამ უჯრის ზემო პარტე სდებს —  
 ეუბნება მოწაფეებს: დატქრდით ამ ასოს და შეადარეთ  
 წინანდელს ასოს. ესეც გ არის. დავსწეროთ. — სწერს და  
 აწერინებს! — რასაკვირვებია, ასოს თითოეულს ხაზს ცალ-  
 კე უხსნის და ისე აწერინებს. შეგიძლება სწერენ. ამას  
 მიუძღვრეთ ზოგიერთი ასოები: a, u, i, e და სხვები —  
 თვითონ ამ ასოებს გვერდზე — მოუსოფს გ-ეს. წაიკით-  
 ხეთ ჯერეთ ყველამ, მეტე ცალ-ცალკე. — მოწაფეები ას-  
 რულებენ მასწავლებლის სიტყვას. მინახეთ ყველა ეს  
 ასოება თქვენს წიგნებში და წაიკითხედ. — ვითხვებს ჯე-  
 რედ ყველას ერთად, მეტე თვითოეულს ცალ-ცალკე. ერ-  
 თის სიტყვით, მასწავლებელი ხმარობს ყოველს ღონის-  
 ძაებას, რომ შეგიძლება ასო გ გონებაში გარკვად ხაი-  
 ბეჭდონ. ამ ასოს შემდეგ გარჩია ერთი ასოც ჯ და  
 დაუნიშნა საწერათ: Raum, Rein და სხვანი. კლასი  
 გათავდა და მასწავლებელმა ვიდრე დაჭრა ტაში. ყველა შე-  
 სტა. ერთი, დაუძახა მასწავლებელმა მოწაფეებს და მათ

ხელები წიგნებზე და დოსკებზე დაწერეს; — ორი, ყველამ  
 თავის ნივთი ხელში აიღო; სამი — ამ სიტყვასე შეგიძ-  
 ლებმა თავიანთი ნივთები უჯრებში შეაწერეს. ყველა ამას  
 რომ მოინა მასწავლებელი, გამეორებადა მოწაფეებს გარ-  
 ში გამოსულიყვენ ვისაც სურდა. მსურველი არაგინ გა-  
 მონდა და მასწავლებელმა დაიწყო არითმეტიკის, ანუ  
 თვლის გაკვეთილი. ამან ჩვეულებრივი წესით ამოალებინა  
 მოწაფეებს დოსკები და არითმეტიკის წიგნები და სისწრა-  
 ფით ყველა განუყოფლებას დაუნიშნა საქმე. პირველს გუნდს  
 მისცა რთული გასაკეთებელი და გამოსაცანი ციფრები;  
 მეორე გუნდს შესათვლელი და გამოსათვლელი რამდენ-  
 ნიმე ციფრები; მესამე გუნდს ვიდრე დაუნიშნა ხატვა + და  
 ოთხ-გუთხიანისა □. თავდა-პირველად მიუბრუნდა პირველს  
 გუნდს: აბა წაიკითხეთ, თუ რა უნდა გამოიკლიოთ.  
 პირველი მაგალითი. — შეგიძლება სიტყვით ხსნიან, თუ  
 რგობა უნდა გააკეთონ ეს მაგალითი. მასწავლებელი ვი-  
 დაფაზე ჭსწერს. ამ ნაირად ყველა მაგალითისე გადაუ-  
 ლებანა თვალი მასწავლებელმა მოწაფეებს და ბოლოს გა-  
 მოუცხადა, რომ მათ ეს მაგალითები დაფაზედ გაეკე-  
 თებინათ და შემდეგ დაფის ერთს გვერდზე დაეწერათ;  
 თვითონ ვი მეორე გუნდს მიუბრუნდა და უთხრა: ყველამ  
 ერთად წაიკითხეთ. ვითხვობენ მაგალითს ხმათ წიგნებ-  
 ში: 30+10=; 30+20=; 20+30=; 20-50=;  
 70-20=; 30-10= და სხვ. ამ გავარ ჩიცხვებს. სხ-  
 ლა თვითოეულმა ცალკე; ეუბნება მასწავლებელი მოწა-  
 ფეებს. ჯერეთ შენ, ახლა შენ, ახლა შენ და ამგვარად  
 ყველას ავარჯიშებს. ბოლოს აძლევს გამოსაცანი, გამოსაკ-  
 ვლევ სხვა რიცხვებს და სამს მაგალითს დასაწერად. თვი-  
 თონ ვი უახლოვდება მესამე გუნდს. ჯერეთ თითებზე  
 აჩვენებს: ორი თითი და ერთი თითი შეადგენს სამს; ერ-  
 თი თითი და ორი ვიდრე სამს. ჯერეთ ყველას ერთად  
 ათქმევინებს, მეტე ცალ-ცალკე. ბოლოს ამ რიცხვებს ჭსწერს  
 ანუ ხატავს ჯერებით და ოთხ-გუთხიანს ხატებს დაფა-  
 ზედ და ასე სამის წარმოდგენაში ავარჯიშებს ემწაფეებს  
 ჯერების და ოთხ-გუთხიანის ხატებით; სამს უმატებს ვი-  
 დრე ერთს ჯერს და იმავე რიგზე, ამავე შუამავლობით  
 აცნობებს ოთხს რიცხვს, რა შუამავლობითაც შეასწავლა  
 სამი რიცხვი. მეტე სისწრაფით უხინჯავს ნამუშევარს პირ-  
 ველას და მეორე გუნდის მოწაფეებს და ბოლოს ყველა  
 მოწაფეებს ეუბნება: არითმეტიკის კლასი გათავდა. რიგ-  
 ზე, მასწავლებლის ბრძანებით, შეგიძლება დაფებს და

წიგნებს უფროში აწეობენ. ხელები მღვდელს, ეუბნება მას-  
წავლელი მოწოდებას.— ჯერეთ ხელის გულები მხვე-  
ნეთ— მერე ხელს ზემო კანი. მასწავლებელი სისწრაფით  
უშინჯავს თათებს ვაყებს და ქალებს, სომ ხელბა დუ-  
ბაუნელი და მეღანში ამოსვრილი აწავის აქვსო; მერე  
მივარდება წინათვე მომართულს ჭიანჭურს (სკინიჭკას) და  
ავალბებს ბავშვებს ჯერეთ პატარა სავსით გავლბას  
და მერე „ლორეალი.“ ცოტახნის შემდეგ ბავშვები კარ-  
ში გადაინ, მგვამ ისევ მღვდელ ბრუნდებიან, რომ წაან  
მასწავლებელმა შემდეგი გაკეთილი დაიწყო.

ქართველი მგზავრი.

(შემდეგ აქნება).

**რამეთუ კაცი ვარ.**

(შემდეგ \*)

**III**

რამდენსამე ხანს პავლემ და გერმანმა ხმა-ამოუ-  
ღებლივ იარეს კლდესა და ღრებზედ.

მთის წვერზედ, რომელზედაც გზა გადადიოდა  
სოფლისაკენ, პავლე შედგა, მოუბრუნდა გერმანს  
და უთხრა:

— ჩვენ, აღამიანთ რომ ყოველთვის მოსაზრე-  
ბა და წინად დანახვა შეგვეძლოს ჩვენის საქციე-  
ლის შედეგისა, მაშინ ქვეყანაზედ ცოლდაც აღარ  
იქნებოდა.

გერმანმა აღმაცერად შეხედა პავლეს, თითქო  
ჰკითხავს: რას ამბობო, ამისხენიო, მაგრამ პავლემ  
ამას ყურიც არ ათხოვა და განაგრძო:

— შენ ცოტად მაინც რომ მოგესაზრა რამო-  
დენად საჭიროა საწყალის მამის შენისათვის ძილი  
და მოსვენება, მაშინ წუხანდელს ღამეს სულ-გაკ-  
მენდილი იწვებოდი შენთვის, რომ მისი ძილი და  
მოსვენება არ დაგეფთხო.

— არა, მე მაგას ვერ ვიქმნოდი, ვერა, უპასუ-  
ხა გერმანმა დაღონებით: შენ ხომ იცი რა რიგად  
ვიგვემე და ვიწამე თავი.

— ძალიან კარგიც ჰქმენი, რომ თავი იწამე და  
იგვემე. ახია შენთვის. შენის ავის საქციელის სრუ-  
ლი სამაგიერო ეგ გვემა იყო.

გერმანმა გაჯავრებით შეხედა თავის მოსაყე-  
ღურე მეგობარსა. თავში სისხლი აუფარდა, ლოყე-  
ბი ანთო. გერმანს მოაგონდა მირიამის დაცინვა,  
რომ ბაშესავით ჯერ ლალაობა გინდაო, და წყრო-  
მით წამოიძახა:

— არავის მივცემ ნებას, რომ მაგ გვარად მე-  
ლაპარაკოს,— მე ვხლა ბაშვი აღარა ვარ.

— მაშ არც მამა შენსა? გააწყვეტინა სიტყვა  
პავლემ და ისეთის გაოცებით შეხედა, რომ გერ-  
მანს შერცხვა და თავი დაჰკიდა.

— ცუდს შერები, რომ უმწარებ სიცოცხლეს  
მას, ვისაც მარტო შენის გულისათვისლა უნდა ამ  
ქვეყანაზედ ყოფნა რაოდენიმე ხანი კიდევ.

— მე ხმას გავიკმენდი და ისე ვიწვიბოდი,  
რომ შემძლებიყო. მეც ისე მყვარს მამა-ჩემი, რო-  
გორც სხვებს.

— მართალია, ცემით არა ჰსცემ, შეუბრუნა  
სიტყვა პავლემ: პურიც მოგაქვს იმისათვის, წყალიც  
და არც მარტოკა სვამ ღვინოს, რომელსაც ეპის-  
კოპოზი მამა-შენს უგზავნის ხოლმე. მაგრამ ყოვე-  
ლივე ეს ცოტაა.

— მე ხომ წმინდა კაცი და ანგელოზი არა ვარ.

— არც მე ვარ! დაიძახა პავლემ: მე ცოლდი-  
თა და უძღურებით საესე ვარ. ხოლო მე ვიცი რა-  
ში მღვდმარებობს სიყვარული, რომელსაც მაცხო-  
ვარი გვაწავლიდა ჩვენ, და შენ შეგიძლიან ამისი  
ცოდნა. მაცხოვარმა დაანთხია სისხლი ჯვარზედ  
შენთვისა და ჩემთვისა, ღარიბთა და მდიდართა-  
თვის. სიყვარული ძალიან აძვილია და ძალიან ძნე-  
ლიც ერთსა და იმავე დროს. სიყვარულისათვის სა-  
ჭიროა თავ-კაწირვა. შენ კი? აბა რამოდენა ხანია  
რაც მამა-შენისათვის აღერხიანი სახე არ დაგინახ-  
ვებია.

— რა ვუყო? მე პირმოთენობა არ შემიძლიან.

— არც უნდა იპირმოთენო, მაგრამ სიყვარუ-  
ლი კი შენი ვალია. ხოლო ხელებით კი არა, გუ-  
ლით უნდა დაამტკიცო შენი სიყვარული.

— განა ეს კი თავ-შეწირვა არ არის, რომ  
ჩემს ყმაწვილ-კაცობას აქა ვლუპავ?

პავლე ორს ბიჯზედ უკან გადას, გაკვირვებით  
გაიქნია ბანჯელიანი თავი და ჰსთქვა:

\*) «ივერია» № № 31, 32.



— მაშ ეგ არის რაღა! შენი ფიქრი ალექსანდრიაშია განა? მართალია, იქ უფრო ჩქარა გადის ცხოვრების დღე, ვიდრე ამ ჩვენს უღაბო მთაზედ. შავგვრემანი მწყემსი—ქალი არ გიყვარს, იქნება იქ თუაღწრომოგივიდა არამელნიმე თეთრი ვაშლისაგათ წითური ბერძნის-ქალი. ვინ იცის?

— მკვ. შენის ქალებით თავი მომაწყინე, დამანებე თავი! უპასუხა გერმასმა, და მართლა გულზედ მოვიდა: იქ, ალექსანდრიაში სხვაც ბევრი რამ არის ნახვის ღირსი.

ამ სიტყვებზედ ყმაწვილ-კაცს თვალები აერთო, ასე რომ პავლემ დიდის სურვილით ჰკითხა:

— სახელდობრ რა არის იმისთანა?

— შენ უფრო კარგად იცი ალექსანდრია, ვიდრე მე, გააქარწყულა ნიმდვილი პასუხი გერმასმა: შენ თვითონ იქაური ხარ, იქა ხარ დაბადებული და ამბობენ, ერთს დროს შენ ყოფილხარ მდიდარი ყმაწვილი კაცი.

— მაგას ამბობენო? ჰკითხა პავლემ: ვინ იცის იქნება ეგ მართალიც იყო. მაგრამ ეს კი უნდა იცოდე: მე მოხარული ვარ, რომ მე ეხლა აღარა მეკუთვნის რა იმ ყალბ ზიზილ-პიპილებისაგან, რომლის მფლობელადაც მე ერთხელ ვიყავი. მე ემადლობ მაცხოვარსა, რომ ძალა მომცა აღამიანთა გროვისათვის ზურგი შემექცევა. აბა რა ჰპოვე იქ, ქალაქის ამოებაში გულის მიმზიდველი, აბა რა?

გერმასმა პასუხი დაუგვიანა. თქმასაც მორცხობდა და უნლოდა კიდევ წარმოეთქვა ის ნაღველი, რაც გულს უმძიმებდა.

თუ დაღვრემილთა და ამ წუთის-სოფლის მოძულეთა მეუღაბნოეთა შორის კაცი ვინმე იქნებოდა იმისთანა, რომ გერმასის გულის-ტკივილი თანაგრძნობით მიეღო, ამისთანა კაცი კიდევ მართა პავლე იყო.

პავლე მეტად დამჯდარის გონების კაცი იყო, და სასტიკად ექცევოდა მართა თავის-თავსა. დღეს თუ ხვალ გერმასს ამისათვის უნდა გადაეშალა გული და ამის გამო აჩქარებით ჰკითხა:

— შენ როდისმე ტერმაში \*) ჰყოფილხარ?

— როდისმეო? იმდენჯერ ვყოფილვარ, რომ მივიტოვებ ფქვილსაგან რომელი არ დავიშალე თბილს წყალში და ცომსაგან არ გავფუჭდი.

\*) გველთა აბანოა.

— რად დაიცინები მასზედ, რაც კაცს აუაქიზებს და ამშვენიერებს? ჰკითხა გულ-ფიცხად გერმასმა: რად დაიარებინა ალექსანდრიაში ქრისტიანები ტერმებში და აქ კი, სინაიზედ შენ და მამა ჩემი და სხვა მეუღაბნოენიცა წყალსა ხმარობენ მართა წყურვილის მოხაკლავად? თქვენ მე ძალდატანებით თქვენებურად მაცხოვრებთ, მაშინ, როდესაც მე არ მინდა ჭუჭყიან და საძაგელ მხეცად ყოფნა.

— ჩვენ მართა მალაღის ღმერთის თვალისათვის ვცხოვრებთ, უპასუხა პავლემ: და მის მოსაწონად ვამკობთ სულთა ჩვენთა.

— ხორციც ხომ ღვთისაგანგვა მოცემული, გაწყვეტინა სიტყვა გერმასმა: კაციაო მგზავსება ღვთისა, ჰსწერია სამღვთო წერილში. ჩვენ კი? საძაგელ მაიმუნად მიჩვენა ჩემი თავი, როცა ენახე დიდის ტერმიდამ გამომავალნი კაცნი და ჰაბუკნი ლამაზად დავარცხნაღნი, გაბანიღნი გაწმენდიღნი და განსპეტაკებულნი. ამის მნახველს რომ ჩემი თავი, მომაგონდა ამ დაგლეჯილს ბანჯელიანს ტყავში, რომ დაეხედე ჩემს ხელებს და ფეხებს, რომელნიც იმათზედ არაფრით ნაკლები არ იყო, მე სიცოცხის ჭრუანტელმა დამიარა ტანში და დამცხა კიდევ ერთსა და იმავე დროს და ხახაც ისე ამომიშრა თითქო ბალამი დავლიეო. მე კინაღამ არ დავიკივლე სირცხვილის, შურის და ჯაგრისაგან. არა, მე აღარ მინდა ყოფნა ამ რიგად, მე მატლი არა ვარ!

უკანასკნელს სიტყვებზედ გერმასმა კბილები დააკრაჭუნა. პავლემ ნაღველიანად შეხედდა მას, როცა მან ხელახლად ჰსთქვა:

— ჩემი ხორციცა და სულიცა—სულ ღვთისაგან არის, და რასაც ალექსანდრიელი ქრისტიანები ჰსჩადიან....

— ჩვენ იმისი ნება არ უნდა მიეჭსცეთ ჩვენს თავსა, უთხრა მკვებელ პავლემ: ვინც თავისი თავი ზეცისათვის დანიშნა, იგი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს სააქაო ცხოვრების ყოველგვარს სიტკობას და ერთი-ერთმანეთზედ შეჰსწყვიტოს თვითოეული კავშირი, რომლითაც იგი მიბმულია ამ წუთის სოფელზედ. იყო დრო, როცა მეც ვანებიერებდი ხორცს, ამ ბანჯელიანს თავზედ

ვისვავდი სურნელოვანს ზეთს თმის დასარბილებლად და მე თვითონ შევხაროდი ჩემს სახეს ხარკეშია. ხოლო შენ კი გეტყვი, ჩემო გერმას და გეფიცები მაცხოვარს, რომ გეტყვი იმიტომ, რომ ამას დრმაჯა ვგრძნობ: ლოცვა ჰსჯობია ბანობასა.... მე რა ვარ? ერთი ფეხ-ქვეშ გასაჭყლეთი მატლი, მაგრამ მეც კი ლოცვის მეოხებით ზეცამ მარგუნა იმისთანა წუთნი, იმისთანა წუთნი მეთქი, რომელთ მიმავლობაში სული ჩემი სრულად განთავისუფლდა ამ წუთის სოფლის ბორკილთაგან და მიიღო მონაწილეობა ზეცის დღესასწაულობაში, როგორც პატივ-საცემმა სტუმარმა.

როცა პავლემ წარმოსთქვა უკანასკნელი სიტყვები, საშინლად გადიდებულნი თქალები ცისაკენ მიემართნენ და რაღაც უცნაურის ელვარებით განუბრწყინდნენ.

რამოდენიმე ხანი ორნივე ერთი მეორის პირდა-პირ იდგნენ ხმა ამოუღებლივ და უმოძრაოდ. ბოლოს ბერ-მონაზონმა გადიყარა უკან შუბლზედ ჩამოშლილი თმები და მარტო ეხლა გამოუჩნდა შუბლი. შუბლი ჰქონდა მშვენიერად მოყვანილი და ისეთი თეთრი, რომ საოცრად ირჩევოდა მზისაგან დამწვარს სახეზედა.

— შენ არ იცი, ჩემო ბავშვო, უთხრა პავლემ აღმოოხვრით: რა ნეტარებას ანაცვალე ამ წუთის სოფლის ამოებას! ვიდრე მადლიანს კაცს ზეცა თავისთან აღიყვანს, ჯერ თვით მადლიანი ჩამოიყვანს ხოლმე ზეცას დგდა-მიწაზედ.

გერმასს კარგად ესმოდა მეუღაბნოეს სიტყვა. მამა-მისი ხანგრძლივის ლოცვის შემდეგ ეგრევე დაუწყებდა ხოლმე ყურებას ცასა და მერე როცა აღტაცებულის ხილვისაგან გამოფხიზლდებოდა, ეტყოდა ხოლმე შვილსა, მაცხოვარი ვნახეო და ანგელოზთა გალობა მოვისმინეო.

თვითონ გერმასმა კი ვერც ერთხელ ვერ მიაღწია მაგ ყოფამდინ, თუმცა სტეპანე დაყენებდა ხოლმე დიდ-ხანს მუხლ-მოყრილს და ხანგრძლივ ალოცებდა ხოლმე თავისთან ერთად.

ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ უძლოური ფეთქა მოხუცის ცხოვრებისა აპირებდა გაქრობას, ისე ძლიერი იყო ხოლმე ზედ-მოქმედება საოცა-

რის ხილვისა. გერმასი დიდოს მოწადინებით წინა-აღუდგებოდა მამას, რომ ეგრე ხანგრძლივ არ ეცოცხლნა, მაგრამ თვითონ მოხუცი ამ ლოცვითა ჰპოვებდა იმედს უშაღლესის ნეტარებისას და გერმასი ვერ ჰხედავდა დაათმობინოს წმინდა მოქმედება იგი.

პავლეს კი ყველაფრის თქმა გაუბედა გერმასმა, რადგანაც იმისთანა გუნებაზედ იყო დღეს მოსული.

— განა მე კი არ მინდა სამოთხეში შესვლა, მაგრამ სამოთხის კარი სიკვდილის შემდეგ გაიღება ხოლმე. ქრისტიანე მოთმინებით უნდა იყო. რატომ არ იცდით, ვიდრე მაცხოვარი თვით არ მიგიწვევთ საიქიოს ნეტარებისათვის? ამ წუთის სოფელში მინც რაღად გინდათ ის ნეტარება? ჯერ ერთი და მერე მეორე განა! რისთვის მოგვანიჭა უფალმა სიკეთე ხორცისა, თუ არ იმისათვის, რომ მითი დავსტკბეთ? სიტურფე და ღონე — ამო საქონელი არ არის, და თუ არ სულელი, ვინ ინდომებს, რომ მისგან მინიჭებული ძვირფასი ნიეთი აიღონ და გადააგლონ.

პავლემ გაცემით შეხედა ჰაბუკსა, რომელიც აქამომდე ხმა-ამოუღებლივ ემორჩილებოდა მამასა და თვითონ პავლესაც ყოველს სასულიერო საქმეში. თავის ქნევით უპასუხა:

— ეგრე ფიქრობენ ძენი ამოებისანი, ღვთისაგან განუორებულნი. მეც ეგრე ვფიქრობდი, როცა ურჯულათ ვიყავ და ხორცის სიტკბობას თავგადადებით ვეძიებოდი. მერე ქრისტიანათ შევიქენ. მადლი ღვთისა ჩამოვიდა ჩემზედ, — და მე თითქო ხელმეორედ დავიბადე. წინანდელი ქვეყნიერობა განჰქრა ჩემთვის, მე განმესხნა ზეცა. წინად მენანდრი ვიყავ, ეხლა კი, როგორც სავლემ, პავლემ შევიქმენ, და რაც მოჰსწონდა მენანდრს: ტერმები, წვეულობა, თამაშა რამ, ცხენები, ეტლი, სიმღერა და ქალის ტრფიალება — სულ ყველა ესენი ზურგთ უკან დამრჩა, როგორც მყრალი საფლობი ტინი, საცა კინალამ მე მგზავრი არ ჩავიფალი — და საიდამაც ძლიავს დავისხენი თავი. ძველისაგან მე განახლებულს აღარა დამრჩა რა და აი ეხლა, როცა საფლავის გზაზედა ვარ მდგარი მეც როგორც ყო-

ველს ღვთის მოყვარე კაცს, ახალის ცხოვრების მზე ამომიბრწყინდა. შენი ღრუც მოვა, როცა იქნება შენი საათიც დაჰკრავს!...

— ღიახაც, თუ რომ რამდენსამე ხანს შენსავით მენადრად ვყოფილვითყავ! გააწყვეტინა სიტყვა გერმასმა: რაც არ მინახავს, ის როგორ შევიძულო! იმისათვის რომ კაცი კაცურად მოკვდეს, ჯერ სი-ცოხლზე უნდა იგემოს. მომწყინდა აპისტანა უხვი-როდ ცხოვრება და აღარ მინდა რომ თქვენ უკან გდევდეთ, როგორც ხბო ძროხასა. მე, თავისუფალი კაცი ვარ და გამოჩენილის გვარისაცა; თვითონ მამა-ჩემს უთქვამს ეგ ჩემთვის, და დაპაჯვრე, მე არაფრით უარესი არა ვარ იმ ყმაწვილ-კაცებზედ, რომელთაც მე ტერმიდამ გავეყვ ყმაწვილ-კაცთა საფარჯიშო შკოლაში.

— შენ პალესტროშიაც \*) იყავ, ჰკითხა პავლემ გაკვირებით.

— თიმაგეთის შკოლაში ვიყავ, უპასუხა გერმასმა და ცოტად აწითლდა: იქ მე ყმაწვილ კაცთა ვარჯიშობას და თამაშობას ვუყურებდი; მე ვნახე, როგორ ჭიდაობდნენ და როგორ ესროდნენ ნიშანში. მიძიე თეფშს რკინისას. მე კინაღამ არ მოე-ჰყვდი შურისაგან, რომ მე ისე უხვიროდ ვიდებ შორს ტყაპუჭში გახვეული და არა მქონდა ნება იმათში გავერეულებიყავ და თავი მეცადნა. პახომი რომ არ შემსწროდა ვფიცავ წულულთა მაცხოვრი-სათა, გავიდოდი შუა მოედანზედ და გამოვითხოვე-დი ვინც იმათში უკეთესი იყო. თვითონ რკინის თეფშსაც მე უფრო შორს გავისროდი, ვიდრე ის გალიპული და განსპეტაკებული სულელი, რომელ-მაც მაშინ ვაიმარჯვა და გამარჯვების გვირგვინიც იმოვნა.

— მაღლობელი იყავ პახომისა, ჩაიციხა პავლემ: რომ ეგ არ გაქმნეინა, თორემ ბევრს სირ-ცხვილს გაჰმევენენ შენ იქ და სასაცილოდაც აგიგდებდნენ. მართალია, ღონიერი ხარ, მაგრამ ღისკოს სროლას, როგორც ყოველს საფარჯიშოს, ცოდნა და შეჩვევა უნდა. თვით ჰერკულესიც კი დამარცხდებოდა მაგაში, თუ რომ ხერხი წინაღვე არ ესწავლა და არ ევარჯიშნა!

\*) უწინდელი შკოლის ვარჯიშობისა

— ღისკოს სროლა ჩემგან პირველი ხომ არ იქნებოდა, დაიძახა ყმაწვილმა კაცმა: აბა უყურე რა რიგად ვიცი!

ამ სიტყვაზედ დაიხარა, დაჰსწვდა ერთს მოზ-დილს პრტყელს ქვასა, რომელიც გზის პირს ეგდო, ღონიერად მოიქნივა და ქვის ღისკო თავ-თავქვე გასტყორცნა.

— აი ხომ ნახე, უთხრა პავლემ, რომელმაც ღილის ყურადღებით თვალი ააყოლა გატყორცნილს ქვასა: თუმცა ღონიერი ხარ, მაგრამ ყველა ახლად-მოსწავლე შენზედ შორს გაჰსტყორცნიდა, თუ ცოტა ხერხი ეცოდინება. ეგრე არ უნდა სროლა, არა! ღისკომ გაღესილის პირით ისე უნდა გააპოს ჰაერი როგორც დანამ. ან ხელი როგორ გიჭირავ! ეგრე მარტო დედა-კაცები ისერიან, თათი ამ რი-გად უნდა მოსახრელში გეჭიროს, პირ-და-პირ, მარ-ცხენა უკან უნდა გასდგა და ცოტად შეიხაროდ, აი შე უთაურო! მომეცია აქ მე ქვა! ცოტა უნდა დარგვალდეს და მერე ვეცდებით ა იმ ხეს მო-ვარტყათ.

ღილის ხალისით ამბობდა ამას პავლე. შემოა-ცალა მეტ-ნაკლებობა ქვას, დადგა ისე, როგორც რამდენიმე ხნის წინად დადგებოდა ხოლმე, ესე იგი, მაშინ, როცა არც ერთი ალექსანდრიელი ყმაწვი-ლი კაცი ამას ღისკოს სროლაში ვერა ჰსჯობნიდა.

მუხლი შეიხარა, ზედა ტანი წინ წამოიწია, მთელის მკლავის გაშლით მოიქნივა და გაჰსტყორ-ცა ქვა. ღისკომ ვერ მიაღწია ხემდინ და ახლოს დაეცა.

— დაიცა, დაიძახა გერმასმა: აბა ესლა მე ვესერი ხეს.

ქვა ზუილით წავიდა, მაგრამ ამხანად ბექამ-დინაც ვერ მიაღწია, საცა ხე იდგა.

პავლემ გულნატყენად გაიქნივა თავი, წამოაე-ლო ხელი მეორე ქვას, — და დაიწყეს ერთმანეთთან გამოჯიბრება. ყოველს ახალს სროლაზედ გერმა-სის ქვა უფრო შორსა და შორს ეცემოდა, და ხანში შესულ მეუღაბნოეს ხელი კი თან და თან ჰლ-ლატობდა.

ბოლოს გერმასის ქვა ხეს მოხვდა კიდევ და პავლემ კი ბექსაც ააცდინა.



გამოჯობრების ქინმა, ჯობნის სურვილმა თან და თან უფრო შეიპყრო განდევილი. გაიძრო სამოსელი, წააფლო ხელი ახალს ქეას და ერთი დაიძახა, თითქო თიმაგეთის მოედანზედ არისო თავის ამხანაგებში, საცა იმდენი დაუნის გვირგვინი მიუღია:

— ვფიცავ აპოლონს და მის ვერცხლის შვილდსა, ვფიცავ არტემიდას და მის საისრეს, რომ ხე მოვარტყამ!

ქვა ზუზუნით წავიდა, მოხვდა ხეს ასე ძლიერ, რომ ხე შეინძრა, — და გერმასმა აღტაცებით დაიძახა:

— ოჰ, აბა ეგრე უნდა აი! უჰ, რა კარგი იყო! აი მაგას ქვიან სროლა! ჰსჩანს ძველი მენანდრი ჯერ არ მომკვდარა. მშვიდობით! ხვალ კიდევ ვცადოთ ჩვენი თავი.

ამ სიტყვებზედ გერმასი გამოეთხოვა მეუღბნოეს და ჩქარის ფეხით დაეშო მთილამ სოფლისაკენ.

როგორც მძინარე მთელის ტანით დაიძვრის როცა მის სახელს ხმა-მალა ჩაჰსძახებენ, ისე შეიძრა პავლეცა გერმასის სიტყვებზედა.

გონება მიხდილსავით დაიწყო აქედ-იქით ყურება, თითქო რალაც უცხო ქვეყანაში ჰპოვა თავისი თავი.

სხილი ოფლი დაესხა შუბლზედ; შემკრთალმა წამოაფლო ხელი მიწაზედ გდებულს ტანსაცმელს და შიშველი ტანი შეიმოსა.

რამდენსამე ხანს გერმასს თვალს ადევნებდა, მერე ერთი საშინლათ ამოიკვნესა, დიდის მწუხარებით თავზე ორივე ხელი წაიფლო და წაჰსქდა ორ ტოტათ თვალთაგან ცრემლო.

— რაო, რა ვჰსტკვი მე? წაიდუღუნა თავისთავად: ტყუილია, ტყუილი, ვითომ ჩემში უწინდელი ყოველისფერი მომკვდარა! ვაი მე სულელსა, უგუნურს რეგვენს! მე პავლეს მეძახიან, ისევ საველე კი ვარ, საველეზედაც უფრო უარესი!

ამ სიტყვებზედ მუხლებზედ დაეცა, თავი მიაცუდა კლდის ქვასა და დაიწყო ლოცვა.

მას ისე მოეჩვენა, რომ ვითომ მალლიდამ ძირს დაეცა და მახვილისა და შუბების პირზედ აეგო;

თითქო გულზედ სისხლ-ბაღლაში გადაესხა. ლოცვაში და მწუხარებაში ისე დაავიწყდა თავი, რომ ვერ ჰგერძობდა საშინელს პაპანაქებას და სულ ზევით და ზევით აღმაჟალის მზისას; ვერ გაიგო, რომ დიდმა ხანმა გაიარა და ვერც ის დაინახა, რომ მის ახლო მოვიდა მთელი გუნდი მლოცვე ეპისკოპოსს აღაპიტის წინამძღოლობით, რომელნიც წამოსულიყვნენ წმინდა მთის თავყანის საცემად.

ამათ ნახეს რა რიგად გულმოდგინედ ლოცულობდა, ამათ თავის ყურით გაიგეს მისი გოდება და უვირღათმისი ღვთის-მოყვარება. ეპისკოპოსმა ანიშნა და ყველამ მუხლი მოიყარა პავლეს ზურგთუკან.

ბოლოს როცა ფეხზედ წამოდგა და დაინახა თვისის შენანების მოწამენი, გაოცდა და ელდა ეცა. მივიდა აღაპიტთან, რომ კალთაზედ ემთხვიოს; ხოლო ეპისკოპოსმა უბძანა:

— ნუ, ნუ! ეგ საჭირო არ არის! ვინც ყოველს ჩვენზედ უფრო წმინდაა, ის არის ყველაზედ უმაღლესიცა. მუხლი მოვიდრეკოთ, ძმანო, ამ წმინდა კაცის წინაშე!

ყველამ მუხლი შოიღრიაკა. პავლემ სახეზედ ორივე ხელი აიფარა და გოდებით წარმოჰსტკვა:

— ვაი, ვაი მე ცოდვილსა! მლოცავნი ამისი თავ-დაბლობით გაოცებულნი წავიდნენ თავის გზაზედ.

(შედეგო აქება)

ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი:

„ჩემოთ მოსხეულებულ პირთ ჰსურთ ჩაეწერონ წიგნათ ახლად დაასხეულებს „ტფილისის გუბერნიის თავად-სახაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ მოსხეულების ყოველ-წლიურის ნიუთიერის შემწეობით: მანეთი.

- 1.) ნიკოლოზ თადეოზის ძე სიზანოვი . . . . . 5
- ნიკოლოზ ვასილის ძე მთვარელიშვილი . . . . . 5
- რომან ღვთის ძე ცაბციკო . . . . . 3
- მისეილ ღვთის ძე მაჭავაცხაძე . . . . . 3

5.) გნენის ბარბარე ვასვასოვისა . . . . . 2  
 გნენის ბარბარე ვასვასოვისა . . . . . 1  
 მღვდელი იოანე შიუგოვი . . . . . 2  
 ქრისტეფორე აბრამის ძე წარათოვი . . . . . 4  
 გიგო ვანნაძე . . . . . 2

10.) ილია აბრამის ძე წარათოვი . . . . . 2  
 იუსტინე მომიოვარი . . . . . 1  
 დავით მეფითაროვ ბერძნისული . . . . . 1  
 სიმონ გრიგოლის ძე რცხილაძე . . . . . 1  
 პლატონ დიმიტრის ძე ტარაგოვი . . . . . 1

15.) ნიკოლოზ გულებათის ძე ჭავჭავაძე . . . . . 1  
 ილია დავითის ძე ჭავჭავაძე . . . . . 1  
 ალექსანდრე ვასვასოვი . . . . . 1  
 ვასილი სიდაძინოვი . . . . . 1  
 გიორგი სულსანოვის ძე ჭავჭავაძე . . . . . 2

20.) მღვდელი აბრამ დიდმელოვი . . . . . 1  
 დეკანოზი სოლომონ ივანოვი . . . . . 1  
 მღვდელი იურკია სირსული . . . . . 2  
 აზ. ივანე აბელის ძე აბულოვი . . . . . 1  
 გრიგოლ ხირსული . . . . . 1

25.) გნენის ეკატარინე ვასვასოვისა . . . . . 1  
 გნენის ნინო ვასვასოვისა . . . . . 1  
 გნენის სოფიო ვასვასოვისა . . . . . 1  
 მღვდელი იოსებ ჩიკვაძე . . . . . 2  
 აზნაური გიორგი თუშმალოვი . . . . . 1

30.) თ. გიორგი სულსანის ძე ვასვასოვი . . . . . 1  
 აზ. ანა სირსულისა . . . . . 1  
 მღვდელი ხარლამში ლუაფოვი . . . . . 1  
 ივანე რესტომაშვილი . . . . . 2  
 ლ. გრიგორაშვილი . . . . . 2  
 მ. ზედგინიძე . . . . . 2  
 თ. გიორგი მაყაშვილი . . . . . 1  
 ტერ-გეორგი ტერ-სარქისოვი . . . . . 1  
 მღვდელი დიმიტრი კალატოზოვი . . . . . 1  
 შაქარია ჭავჭავაძე . . . . . 1  
 მღვდელი დიმიტრი ხარტონოვი . . . . . 1

41.) ბრახოშვილი ალექსანდრე გრ. მანუჩაროვი . . . . . 1

სრულიად 63\*)

„თუღავის მცხოვრებთ დიდის სიამოვნებით მიიღეს ჩემი თხოვნა ახლის საზოგადოების წევრად ჩაწერაზე და იმედია, რომ ამ მცირე ხელის-მომწერლებით ეს საქმე არ გათავდება. ესრეთი სიმცირე წევრთა იმით აიხსნება, რომ ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის ამ სასარგებლო საქმის დაწყება, ხოლო ბევრისთვის ძე თვითონ ჯერ არ მიმიცია ამანუდ წინადადება. იმავებიან იმისთანა გვამნიც, რომელთაც, უძითა ვითარების გამო, ლუგარვავთ ქართული მამა-პაპური პირი, ნდობა. ბევრი შიშობს და ეჭვიანობა, ჩემის აუწონავი ქვევით, თულები სხვას არ შევჭამოვო. ერთის მხრით არც გასამტყუნარია ამში ჩვენი ხალხი, რადგან ესრეთს მათს ფიქრს აქვს საბუთიანი საფუძველი ჩვენს ცხოვრებაში; წინაპართა დათესილის ნაყოფს, კვლავ ჩვენს ეპოთ.

გვსაზანი ამასთანავე ნი მან. და უმოწინავედ ვსთხოვ «ივერიის» რედაქციას მიიღოს ეს თუელი ჯერჯერ ადგილს გადდასტვიმად, ხოლო ეს სია დაბეჭდოს ერთს მახლო-ბულს ნომერში. სრული იმედი გვაქვს, რომ სხვანაც მისვალნი გამოაცხადებენ აღნიშნული საზოგადოების წევრობის სურვილს, რომელთ სიას და შეწირულებას თავის დროზედ წარმოკრუდკენთ რედაქციას. უსარგებლო არ იქნება, თუ რედაქცია გამოემგზავნის რამდენსამე ეგზ. საზოგადოების წესდებისას ხალხში გასავრცელებლად“.

ნ. მთვარელიშვილი.

ამთ გაზდა «ივერიის» რედაქციამ მიიღო ამავე საგნისათვის:

- თუ. ივ. რესტომოვისაგან—სრული მანეთი.
- გნ. ნინო სოლომონის ასულის ანდრონიკაშვილისაგან—ექვსი მანეთი.
- გნაფის ელენე ლუარსაზის ასულის ანდრონიკაშვილისაგან — ორი მანეთი.

გნ. ივლიტა ალექსანდრეს ასულისა და თ. ნიკოპაღურის ძის ჩერქეზისშვილთაგან:— ოთხი მანეთი.

\*) ეს შული მიღებული აქვს „საზოგადოების“ სეკრეტარს.